

სეგინგის III პირის მარცვებითობის ნიშანი ჩრო-კიროთა პირველ
მეორე და მესამე ჯგუფები

(ისინი აშენებდნენ თუ აშენებდენ? იზრდებოდნენ თუ იზრდებოდენ?
გაფიტორდნენ თუ გაფიტორდენ? მოვიდნენ თუ მოვიდენ?
შეშექითხებოდნენ თუ შეშექითხებოდენ?)

1. ეს საკითხი ეხება:

- ყველა ზმნას ნამყო უსრულსა (უწყვეტელსა) და კავშირებითს პირველში;
- დ-თი ნაწარმოებ ვნებითს ზემოხსენებული ორი დროის გარდა აგრეთვე ნამყო ძირითადსა (წყვეტილსა) და კავშირებითს მეორეში;
- ნამყო ძირითადსა (წყვეტილსა) და კავშირებითს მეორეში იმ ზმნებს,
რომელთა ფუტეც დ-თი ბოლოვდება;
- ორპირიან გარდაუვალ ზმნებს თურმეობითს მეორესა და კავშირებითს მე-
სამეში.

მაგალითები:

- ნამყო უსრული (უწყვეტელი): რას შერებოდა?
ის აკეთებ-დ-ა — ისინი აკეთებ-დ-ენ ან აკეთებ-დ-ნ-ენ; ის ხსნი-დ-ა — ისინი
ხსნი-დ-ენ ან ხსნი-დ-ნ-ენ.
ასეთ შემთხვევაში -დ- დროის საწარმოებელი სუფიქსია, -ენ ან -ენ — მესამე
პირის მრავლობითის ნიშანი.

კავშირებითი პირველი: რას უნდა შერებოდეს?

- ის უნდა აკეთებ-დ-ე-ს — ისინი უნდა აკეთებ-დ-ე-ნ ან აკეთებ-დ-ნ-ე-ნ; ის უნ-
და ხსნი-დ-ე-ს — ისინი უნდა ხსნი-დ-ე-ნ ან ხსნი-დ-ნ-ე-ნ.

ბ) ნამყო ძირითადი (წყვეტილი): რა ქნა?

- ის დასახლ-დ-ა — ისინი დასახლ-დ-ე-ნ ან დასახლ-დ-ნ-ე-ნ.
ამგვარ ზმნებში -დ- ვნებითს გვარს აწარმოებს, -ენ ან -ენ მესამე პირის
მრავლობითის ნიშანია.

კავშირებითი მეორე: რა უნდა ქნას?

ის უნდა დასახლ-დ-ე-ს — ისინი უნდა დასახლ-დ-ე-ნ ან დასახლ-დ-ნ-ე-ნ.

გ) ნამყო ძირითადი (წყვეტილი): რა ქნა?

ის მოვიდ-ა — ისინი მოვიდ-ენ ან მოვიდ-ნ-ე-ნ.

აქაც-ე-ნ ან -ნ-ე-ნ მესამე პირის მრავლობითის ნიშანია, -დ კი ზმნის ფუტეც
განეკუთვნება.

კავშირებითი მეორე: რა უნდა ქნას?

ის უნდა მოვიდ-ეს — ისინი უნდა მოვიდ-ენ ან მოეიდ-ნენ.

დ) თურმეობითი მეორე: რა ექნა?

ის შექითხებოლა — ისინი შექითხებოლ-ენ ან შექითხებოლ-ნ-ენ.

კავშირებითი მესამე: რა უნდა ექნა?

ის უნდა შექითხებოლ-ეს — ისინი უნდა შექითხებოლ-ე-ნ ან შექითხე-ბოლ-ნ-ენ.

ამ ფორმათა -დ დროის საწარმოებელი სუფიქსია ისევე, როგორც ნამყო უს-რულში (უწყვეტელში), -(ე)ნ, -ნენ კა მესამე პირის მრავლობითის დაბოლოებაა.

ამათვე ეკედლება ერთპირისანი და ორპირისანი ლინამიკური ზმნები თბება ტა-პისა, სახელდობრი: აქმო: ის რჩება, წყრება, ქრება; ის მას ურჩება, უწყრება, უქრება. ნაშეო ძირითადი (წყვეტილი): ის დარჩა, გაწყრა, გაქრა, მაგრამ: ისინი დარჩენენ თუ დარჩენ, გაწყრენ თუ გაწყრენ, გაქრენ თუ გაქრენ, გაუწყრენ, თუ გაუწყრენ? კავშირებითი II: ის რომ დარჩეს, გაწყრეს, გაქრეს, მაგრამ: ისინი რომ დარჩენენ თუ დარჩენ, გაწყრენ თუ გაწყრენ, გაქრენ თუ გაქრენ, გაუ-წყრენ თუ გაუწყრენ?

2. ქველ ქართულში ზემოაღნიშნულ ფორმებში -ნენ დაბოლოებაა არ ყოფი-ლა გმოყენებული; ნამყო დროებში: ნამყო უსრულსა (უწყვეტელსა), ნამყო ძი-რითადსა (წყვეტილსა) და თურმეობით II-ში იხმარებოლა-ეს სუფიქსი, ხოლო კავშირებითში (პირელსა და მეორეში) — -ენ; მაგ.: იგინი ამენებდ-ეს, წარვიდ-ეს... უნდა აშენებდ-ენ, წარვიდ-ე-ნ...

3. ახალ სალიტერატურო ქართულში უკანასკნელი 100 წლის მანძილზე -დ-ენ ძალზე გავრცელებულია. მას ხმარობდენ ნ. ლომოური, რ. ერისთავი, ილ. ჭავჭავაძე, შ. არაგვისპირელი... იგი ერთადერთი დაბოლოებაა თანამედროვე სალიტერატურო ენაში, -დ-ენ გაბატონებულია აკაკი წერეთლის, გ. წერეთ-ლისა და ვაჟა-ფშაველას ნაწერებში.

დ-ნენ-ში პირველი ნ ისტორიით არაა გამართლებული: იგი ანალოგითაა გაჩინილი.

4. -დ-ენ და -დ-ენ დაბოლოება თანამედროვე სალიტერატურო ქართულ-ში თ ა ნ ა მ თ ხ ვ ე უ ლ ფ ო რ ს მ ა თ გ ა ს ა რ ჩ ე ვ ა დ ა რ ი ხ მ ა ს ე ბ ა. ვინც -დ-ნენ-ს ხმარობს, ხმარობს მას ნამყო უსრულშიც (უწყვეტელშიც) და კავ-შირებითს პირელშიც (ის აქეთებ-დ-ა — ისინი აქეთებდ-ნენ; ის უნდა აქეთებდ-ე-ს — ისინი უნდა აქეთებდ-ნენ...), ნამყო ძირითადსა (წყვეტილსა) და კავში-რებითს მეორეშიც (ის დასახლ-დ-ა — ისინი დასახლ-დ-ნენ; ის უნდა დასახლ-დ-ე-ს — ისინი უნდა დასახლ-დ-ნენ)... და ეს მიუხედავად იმისა, რომ მრავლობითის მესამე პირში ერთმანეთს ემთხვევა სხვადასხვა დროის ფორმები. ისევე განურ-ჩევლად იხმარება -დ-ენ ზემოხსენებულს დროებში: ისინი აქეთებ-დ-ე-ნ — ისინი უნდა აქეთებ-დ-ე-ნ... ისინი დასახლ-დ-ე-ნ — ისინი უნდა დასახლ-დ-ე-ნ... თან-მთხვეულ ფორმათა გასარჩევად ამ ორი დაბოლოების შეგნებულად გამოყენება ხელოვნური იქნებოდა, რადგანაც თვით ენაში გარჩევისადმი მიღრეკილება არ არსებობს.

მრავალ:

1. დ-ს შემდეგ (ფუძისეულია იგი თუ დროის მაწარმოებელი) როგორც ნამყო უსრულში (უწყვეტელში), ისე კავშირებითს პირელში, ნამყო ძირითადში (წყვეტილში), კავშირებითს მეორეში, თურმეობითს მეორეში და კავშირებითს მე-სამეში — ყველგან უნდა იხმარებოდეს -ნენ დაბოლოება, რადგანაც ის

ა) გაბატონებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში და
ბ) გარტივია წარმოების მიხედვით (ყველა ზმანა ერთნაირი დაბოლოებით გვე-
ვლინება).

მაშასაღამე, უნდა ითქვას და დაიწეროს: აკოფებდნენ, ხატავდნენ, მოვიდნენ,
დახახლდნენ, შეპკითხებოდნენ.

2. ეს წესი მთლიანად ვრცელდება ობება ტიპის დინამიკურ ზმნებზე, რო-
გორიცაა: რჩება, ქრება, წყრება, ჰქნება და სხვა ზმნები, აგრეთვე შესაბამისი
ორპირიანები (უქრება, უჰქნება...), რომელთაც მრავლობითში -ნ არ ჰქონდათ,
და ახალ ქართულში იჩენენ. მაშასაღამე, უნდა ითქვას და დაიწეროს როგორც
ნამყო ძირითადში (წყვეტილში), ისე კავშირებითს მეორეში და თურმეობითს
მეორესა და კვეშირებითს მესამეში: დარჩნენ, გაჭრნენ, გახმნენ.... გაუშურნენ,
გასჭურომოდნენ (ისინი მას).